



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №4

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 27 აპრილი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | | |
|----------------------|---|--|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| დimitრი ჭეიშვილი | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ნატალია ძიმიგური | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - |

კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

- ანზორ დევამე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევამე - საკრებულოს წევრი.
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ:

- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;

- ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;

-ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი ლევან ლაზარიაშვილი;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ადმინისტრაციის უფროსი-მარადი სანიკიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 11 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ბონდი-2009“ (ამჟამინდელი მესაკუთრე/უფლებამონაცვლე - შპს „გრანდ მაისონი“) შორის 2019 წლის 29 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 11. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ადმინისტრაციის უფროსი მარადი სანიკიძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე - მიესალმა კოლეგებს და დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ხშირად ერთი და იგივე საკითხების გამეორება უწევს და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მოითხოვია, კერძოდ, პანდემიიდან გამომდინარე სამარშრუტო ავტობუსებში საშინელი მდგომარეობაა და სადამოს საათებში რეგულაციები არ კონტროლდება. კომპანიას, რომელსაც გააჩნია 19-20 სამარშრუტო მიკროავტობუსი სადამოს საათებში დაკვეთით სხვა სამუშაოებს ასრულებენ და რჩება რამდენიმე, რის გამოც მძღოლი იძულებულია ფეხზე დგომით აიყვანოს მგზავრები. ასევე მადლობა გადაუხადა მოსახლეობის სახელით თამარის დასახლებაში მასშტაბური რეაბილიტაცია-მიწისქვეშა კომუნიკაცია დასრულდა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ზედაპირის სამუშაოები, თუმცა წვიმიან ამინდში გადაადგილება შეუძლებელია. მან არაერთხელ აღნიშნა ქალაქის სავალ ნაწილებში ე.წ. ტროტუარებზე, რომელიც გადატვირთულია, კარგი იქნება მისი ნათქვამი შესრულდა, ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე რკინის კონსტრუქცია აღებულ იქნა. მას ასევე აქვს ორი პეტიცია, ერთ-ერთი განთიადში მარკოზ აქარელის დასახლებაში ბავშვთა გასართობი ცენტრის განთავსების თაობაზე, რადგან არაფერი გასართობი იქ არ არსებობს, 40-მდე ოჯახი აწერს მოთხოვნას ხელს.

საკრებულოს წევრი - ნოდარ დუმბაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ რამოდენიმე დღის უკან მოხდა ქალაქ ბათუმის ბულვარის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლება სახელმწიფო აუდიტის დასკვნის საფუძველზე, დღეს საკრებულოს სხდომას მერის მ/შ ესწრება და უნდა რომ მოისმინოს მისგან პასუხი თუ რისგან განსხვავდება ბათუმის ბულვარის ყოფილი დირექტორი და ქალაქ ბათუმის მერია ერთმანეთისგან და რატომ არ არის კანონით თანასწორი თუ სახელმწიფო დასკვნის საფუძველზე ის ტოვებს თანამდებობას და ბათუმის მერის მ/შ აგრძელებს მოვალეობის შესრულებას, რაც შეეხება მეორე განცხადებას მოქალაქის მიერ შემოსული განცხადება, აკაკი შანიძის 21-ში უკანონოდ აშენებული სამსართულიანი სახლის თა-

ობაზე, მოქალაქეს ბათუმის არქიტექტურის სამსახურმა უპასუხა, რომ პროექტი შეთანხმებულია, თუმცა სამშენებლო ნებართვა არ არის გაცემული. მან მოუწოდა შესაბამის სამსახურს კონტროლი უკანონოდ აშენებული სახლების თაობაზე. სამწუხაროა, ქალაქში უკანონოდ მშენებლობის აღმოფხვრა რომ არ ხერხდება.

საკრებულოს წევრი - ზურაბ ნაკაიძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ფიროსმანის ქუჩა არის ცალმხრივად გადაკეტილი, გაჩერებულია ორივე მხარეს ავტომობილები, რის გამოც ითხოვა საცობების გამო მანქანების ცალმხრივად გაჩერება.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ მთავარი არის ქალაქში და მსოფლიოში კოვიდ ინფექციიდან გამოწვეული პრობლემები, მესამე ტალღა იწყება და ამისათვის უნდა იყვნენ მზად შეჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად. ძალიან მნიშვნელოვანია და სასიხარულო პოლიტიკური ვითარების სტაბილურობა, დოკუმენტს მოეწერა ხელი ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ჩართულობით და დეპუტატებმა, პარლამენტარებმა შემდგომში ამ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ გააგრძელონ და პრაქტიკაში უნდა განახორციელონ, რაზედაც მოეწერა ხელი. ასევე აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება კარგია, თუმცა უმჯობესია ჩქარი ტემპით სამუშაოების განხორციელება.

საკრებულოს წევრი - თამაზ სალუქვაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ბარცხანის ხიდის და გოგოლის ქუჩის რებილიტაცია იწყება, მოსახლეობას აქვს შიში და შეკითხვები ბარცხანაში მოხვედრის თაობაზე. გამომდინარე აქედან კარგი იქნება თუ ცალ-ცალკე გაკეთდება, რადგან მოსახლეობისთვის შემოსასვლელი არ ჩაიკეტოს.

საკრებულოს წევრი - დავით მახარაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ პანდემიასთან დაკავშირებით უნდა დავიცვათ რეგულაციები, რადგან რთული სიტუაციაა მესამე ტალღის ფონზე, რაც შეეხება განცხადებას რუსთაველისა და აბაშიძის კუთხეში ტროტუარი არის საკმაოდ მაღალი და პირები, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან რთული ჩასასვლელია. შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინონ აღნიშნული პრობლემის მოგვარება. ასევე ბაგრატიონის ქუჩაზე არის საბითუმო ბაზრობა და მოძრაობაც დიდია, ავტობუსის გაჩერება გასათვალისწინებელია.

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ შეეხო აეროპორტის გზატკეცილზე ბათუმის დინამოს საფეხბურთო ბაზის მიმდებარედ შემნილ პრობლემას, სადაც ძალიან ბევრი ბავშვი დადის სავარჯიშოდ, შესაბამისად სამარშრუტო ტაქსი აჩერებს ბაზის იქითა მხარეს, სადაც არის ჩქაროსნული მაგისტრალი და ბავშვები ცდილობენ ბაზაზე გადმოსვლას, სადაც არ არის ზებრა, არც საფერხმალო მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელიც ქმნის საფრთხეს, ორი დღის წინ შეიქმნა ავარიული სიტუაცია. ამიტომ ბათუმის დინამოს ხელმძღვანელობა სწუხს ამ საკითხთან დაკავშირებით და ამ საკითხზე ხელმოწერებიც გროვდება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თეზიძემ განაცხადა, რომ დაწყებულია ბათუმის ბულვარის ბათუმის მერიისთვის გადაცემის პროცედურები. მან სხდომაზე მყოფ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს, არჩილ ჩიქოვანს მიმართა, რომ ეს პროცედურები დააჩქაროს. ასევე აღნიშნა, რომ ის არ აპირებდა კომენტარის გაკეთებას ბულვარის ადმინისტრაციის ყოფილი დირექტორის, ირაკლი ჯინჭარაძის

„არაადეკვატურ ქცევაზე“, მაგრამ მაინც გადაწყვიტა თქვას, რომ ის თავის თანამშრომელს მხოლოდ ასეთი ქცევისთვის გაათავისუფლებდა.

ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე განმუხტვის გზა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მეგობრების დახმარებით იქნა შერჩეული-მისასალმებელია. მიესალმება სიტუაციის განმუხტვას, დასტაბილურობას და სამომავლოდ საქმიანად ქვეყნის განვითარებისაკენ მიმავალ გზას სვლას უწყობს. მან მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც აქტიურად არის ჩართული და ყველა დასმულ კითხვაზე მოხდება სწრაფი რეაგირება. მერმა უპასუხა დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს:

- სამარშრუტო მიკროავტობუსებთან დაკავშირებით არის პრობლემა, მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახური და მუნიციპალური ინსპექცია მუდმივ რეჟიმში ახდენენ მონიტორინგს და არაერთი რეაგირება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი არის შედგენილი, თუმცადა მოუწოდა სამარშრუტო მიკროავტობუსების ხაზის მფლობელებს, მძღოლებს რეგულაციების დაცვისკენ.

- თამარის დასახლებაში მიმდინარე რეაბილიტაციასთან და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელიც ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს და საკმაოდ მომრავლდა ე.წ გადაკეტილი ქუჩები და შეზღუდული სატრანსპორტო მოძრაობა, რისთვისაც კიდევ ერთხელ თანამოქალაქეებს ბოდიში მოუხადა შეფერხებისათვის.

- გადატვირთულ ტროტუარებთან და ბილიკებთან დაკავშირებითაც იზიარებს მათ მოსაზრებას და ბუნებრივია საჭიროა გამკაცრება ამ მიმართულებით, მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურს და ყველა შესაბამის სამსახურს აქვს მიცემული დავალება, რათა მოხდეს ჰარმონიზაცია არსებული ობიექტების იმ საკრებულოს დადგენილებებთან და ნორმატიულ აქტებთან, რის შესაბამისადაც უნდა იყვნენ განთავსებული კომერციული ობიექტები. პანდემიიდან გამომდინარე ღია სივრცეებმა განსაკუთრებით დატვირთვა და სიმძიმე შეიძინა, მათ ვალდებულება აქვთ აღასრულონ შესაბამისი ზომები.

- განთავსებას განთავსებას საბავშვო ატრაქციონებს რაც შეეხება სააგენტოების და პოლიტიკური ძალების მიერ ატრაქციონების რაოდენობა საქილიკო ობიექტი გახდა სოციალურ მედიაში და ა. შ. პირიქით განსაკუთრებით პანდემიის დროს, როდესაც რეკრეაციული სივრცეები და სარეკრეაციო ადგილები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ეზოები არის ერთადერთი საშუალება, სადაც შესაძლებელია რეგულაციების დაცვით მოხდეს დასვენება და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, ჩვენი შვილების დასვენება, ბუნებრივია მეტი ყურადღება მიექცევა და საბიუჯეტო ცვლილებების დროს გათვალისწინებული იქნება მსგავსი ტიპის ობიექტების განთავსება ქალაქის რეკრეაციულ სივრცეებში.

- რაც შეეხება შეკითხვას აუდიტთან დაკავშირებით, არერთი კომენტარი არის გაკეთებული და ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი არის გაცემული და დამატებით არ შეეხება.

- აკაკი შანიძის 21 ნომერში არსებული უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალური ზედამხედველობის ინსპექციას 21 მარტს აქვს დაწყებული წარმოება, რომლის ფარგლებში ბუნებრივია ყველა სათანადო ზომა იქნება გატარებული, მათ შორის ყველაზე მკაცრიც თუ ამის საჭიროება იქნება. ასევე საპატრულო პოლიციასთან ხშირად აქვთ კომუნიკაცია და მათ შორის შევიწროვებულ და შეზღუდულ გადაადგილებასთან დაკავშირებითაც, საჭიროების შესაბამისად ღებუ-

ლობს გადაწყვეტილებას სატრანსპორტო სქემები იმ ობიექტებზე, სადაც მიმდინარეობს რეაბილიტაცია, ამის შესახებ საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას.

- სასურსათო კალათებთან დაკავშირებით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებლიანად უდგება ამ საკითხს და საჭიროების შემთხვევაში გამოინახება ყველა რესურსი მოქალაქეების დასახმარებლად.

- ბარცხანის ხიდისა და გოგოლის ქუჩის რეაბილიტაციის დაწყებასთან ერთად რამოდენიმე მიმართულებით მუშაობენ და მოსახლეობისთვის მორგებული იქნება და შეფერხება არ იქნება.

- ტროტუარების დადაბლებასთან და დახრილობის მინიჭებასთან დაკავშირებით შშმ პირების და ეტლით მოსარგებლების პრობლემები, ყველა ახალ პროექტში გათვალისწინებული არის, ადრე გაცემულ პროექტებში, სადაც საჭიროებები არ იყო დასმული, ცდილობენ მოვლა-შენახვის ნაწილში საპროექტო შესაბამის უწყებებთან ერთად გახადონ ადაპტირებული, რათა კომფორტული იქნეს მოსარგებლებისთვის.

- ავტობუსის გაჩერებებთან დაკავშირებით მუდმივ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია მოქალაქეებთან, ასევე სატრანსპორტო მართვასთან ერთად ბათუმის ავტოტრანსპორტი სიღრმისეულ ანალიზს აკეთებს მსგავსი ტიპის პრობლემების.

- სპორტული აქტივობები განახლებულია, აეროპორტის გზატკეცილზე საფერხმალო გადასასვლელი რამოდენიმე ასეული მეტრით არის, ამ ეტაპზე საგზაო დეპარტამენტთან მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ აღნიშნულ გზის მონაკვეთთან დაკავშირებით.

- პანდემიის გავრცელების მესამე ტალღის პრევენციის მიზნით, ჯანდაცვის სექტორი და სრულიად სახელმწიფო მობილიზებულია. იმედს იტოვებს, რომ ჩვენი თანაქალაქელები მკაცრად დაიცავენ რეგულაციებს და გავრცელების მასშტაბები არ იქნება მასიური. თუმცა, თუ დადგება საჭიროება, ბათუმის მუნიციპალიტეტმა, აჭარის მთავრობამ, თუ სამთავრობო უწყებებმა, უნდა მიიღონ გადაწყვეტილება დახმარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების შესახებ. როგორც წინა ორი ტალღის შემთხვევაში, სწრაფად და ეფექტურად მოხდება მათ მიერ რეაგირება, რისი შესაბამისი რესურსებიც აქვთ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის დადგენილებებით. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 141,108.1 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 142,167.5 ათასი ლარია.

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 154,255,8 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 140,992.8 ათასი ლარი. 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID -19) პანდემიად გამოაცხადა. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პანდემიისათვის მზაობისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, იმისათვის, რათა სახელმწიფომ შეასრულოს კონსტიტუციური ვალდებულება - უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2020 წლის მარტის თვეში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. „ საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით შეიზღუდა რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რომელმაც თვის მხრივ შეანელა ეკონომიკური პროცესები და შესაბამისად შემცირდა გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლები. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მოქალაქეთათვის დახმარებისა და შეღავათების გაწევის მიზნით, როგორც სამთავრობო ასევე ადგილობრივ დონეზე შემუშავებულ იქნა რიგი ღონისძიებები, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებზე. შემოსულობების მხრივ შემცირდა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, სხვა შემოსავლები შემცირდა ეკონომიკური აქტივობის კლების და მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული შეღავათების (მოსაკრებლები, ნებართვები და სხვა შემოსავლები) ხარჯზე. ხოლო გადასახდელების კუთხით პანდემიის პერიოდში ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებულ იქნა, ადმინისტრაციული, კულტურული, სპორტული და სხვა მსგავსი ტიპის ხარჯები, რომელიც მიმართულ იქნა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების ბენეფიციართა დახმარების და ქალაქისათვის მნიშვნელოვანი კაპიტალური/ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით 2020 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება:| - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 30 811,4 ათასი ლარი; - სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 7 879,4 ათასი ლარი; - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 28 702,9 ათასი ლარი; - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 4 928,2 ათასი ლარი; - მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 494.7 ათასი ლარი; - ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 1 980,1 ათასი ლარი; - ქალაქის კეთილმოწყობა - 853,0 ათასი ლარი. ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო| ინფრასტრუქტურის განვითარება: - ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება- 9 302,4 ათასი ლარი; - ეკოლოგიური

მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 5 991,7 ათასი ლარი; განათლება: - სკოლამდელი განათლება - 13 026,9 ათასი ლარი; - პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 101,7 ათასი ლარი; - ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 1,3 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი: | - სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 4 021,4 ათასი ლარი; - მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლაპატრონობა - 1 236,9 ათასი ლარი; - კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 1 433,5 ათასი ლარი; - კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 504,7 ათასი ლარი; - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 315,6 ათასი ლარი; - ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 20,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობისა და დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა: - ჯანმრთელობის დაცვა - 2 952,0 ათასი ლარი; - სოციალური უზრუნველყოფა - 10 027,2 ათასი ლარი; - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 703,5 ათასი ლარი. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება: - ქალაქის ურბანული განვითარება - 8,6 ათასი ლარი; - ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 42,2 ათასი ლარი; მუნიციპალური სერვისების განვითარება: | - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 5,375.1 ათასი ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (5,984.3 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (2 286,7 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (6,6 ათასი)

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით დაწესებული შეზღუდვების შედეგად დაბალი ეკონომიკური აქტივობისა და ცალკეული ეკონომიკური შეღავათების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 142,167.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2020 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.8%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 62,478.6 ათასი ლარი (შემოსულობების 43.9%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე - 60,777.6 ათასი ლარი (შემოსულობების 21.7%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 17,500.9 ათასი ლარი (შემოსულობების 12,3%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) - 1,410.4 ათასი ლარი (შემოსულობების 1,0%).

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში ბიუჯეტის შესრულება 92%-ია, თვლის რომ ნორმალურია და კარგია, არის რიგი საკითხები, რაზეც აუცილებელია გათვალისწინება და ქალაქის განვითარებაზე ზრუნვა აუცილებელია. სპორტული ინფრასტრუქტურის კუთხით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი მოსაგვარებელია, მაგ. საცურაო აუზი, მძლეოსნობის მანეჟი, ქუთაისის საკალათბურთო გუნდს გაცილებით მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე ბათუმს.

გუნდს მეტი დახმარება სჭირდება განვითარებისათვის. ასევე გასაახლებელია ბათუმის ავტოპარკი და სამარშ-რუტო მიკროავტობუსები.

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე - ბიუჯეტის შესრულებასთან მიმართებაში უფრო მკაცრი იქნებოდა, თუმცა ითვალისწინებს პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებს. მან დასვა კითხვები: დეზინფექცია როგორი მასშტაბით ტარდება სახლებში, კულტურასთან მიმართებაში, გარდა იქ დასაქმებულთა, რას მოხმარდა თანხები, ცენტრალურ პარკში ხარის მონუმენტი ბავშვებისათვის ყველაზე საყვარელი და მისაბამი ადგილია, იქ სიღრმეში წყალი იყო დაგუბებული და მიახლოება იყო შეუძლებელი, რომელიც დღეს გაკეთებული დახვდა.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - მიესალმება 2020 წლის ბიუჯეტის შესრულებას, რადგან წელს ამ რთულ პირობებში ბიუჯეტის შესრულება განხორციელდა და კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ტრანსფერების დახმარებით მაქსიმუმი გაკეთდა და კარგი შედეგებიც მიიღეს. შემოსავლების კლებაც სავარაუდოდ წელსაც გაგრძელდება, თუმცა ამ კუთხით რა ღონისძიებები იგეგმება. სამწუხროდ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სკოლამდელი აღზრდის ბაღების მშენებლობა და ამ კუთხით რა იგეგმება. პროგრამები გამართულია, მაგრამ ხარისხობრივ ინდიკატორებს ისურვებდა მომავლისთვის. მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით ღონისძიებები გასაძლიერებელია.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტის შესრულებას რაც შეეხება პანდემიური წლის მიუხედავად შესრულება მაღალია. საკმაოდ მობილურად იმუშავა მერიამ, საქართველოს და აჭარის მთავრობამ და აქედან გამომდინარე დაუფინანსებელი არც ერთი პროექტი არ დარჩენილა. ხარჯვითი ნაწილი დადებითად შეაფასა, შემოსულობის ნაწილიც კარგია და დამაკმაყოფილებლად ჩათვალა წარმოდგენილი ანგარიში.

ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ დღეს ერთი კალენდარული წლის ბიუჯეტის განხილვაა, მაგრამ წამოიჭრა სამომავლო პრიორიტეტებთან დაკავშირებით უფრო მეტი ხვედრითი წილი სურვილები და მოსაზრებები, ბუნებრივია მომავალი წლის პროგრამებზე მუშაობენ, 2021 წლამდე იყო ქალაქის განვითარების გეგმის ნაწილი,

2022-2025 წლების პროგრამაში ბუნებრივია გათვალისწინებული იქნება ქალაქის ბიუჯეტში ასევე რეგიონის მასშტაბით ეს საკითხები. ქალაქში მასშტაბურია სპორტული არენების მშენებლობა, საფეხბურთო სტადიონი, შერეული და კომპლესური დარბაზი, სპორტული დარბაზი. ძალოსნობის მანეჟთან და საცურაო აუზთან დაკავშირებით სამომავლოდ ექნებათ ხედვები, მათ შორის აუცილებლობაც დგას. ერთ-ერთი კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო აუზი, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს დავის პროცედურები საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში და აქედან გამომდინარე დავის დასრულების შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება. ძალოსნობის მანეჟთან და ინფრასტრუქტურის საჭიროებასთან დაკავშირებით სამომავლოდ ექნებათ ხედვები, რომელთა ნაწილშიც გააჟღერებენ იმ სავარაუდო ადგილებს, სადაც შესაძლებელია აშენდეს სპორტული მანეჟი ძალოსნობისათვის. ავტობუსებთან დაკავშირებით აქვთ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია და მათი რესურსებით და შესაძლებლობებით მათი კომპეტენციის გამოყენებით და დახმარებით უახლოეს პერიოდში მიიღებენ ავტოპარკის განახლების გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ხარის ატრაქციონთან დაკავშირებით მიმდინარე წელს მოვლას შენახვის ჭრილში მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, თუმცა სამომავლოდ მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ამ და მსგავსი ტიპის საკითხებს ბუნებრივია მიიღებენ მხედველობაში.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ნ. ღუმბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესი“-ს მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-თ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები“-თ.“.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17
არ ესწრებოდა: 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოდრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა დიმიტრი ჭეიშვილმა დასვა კითხვა, საზოგადოებისთვის ნათელი რომ იყოს დააკონკრეტეთ ტერიტორიულად სად არის წარმოდგენილი ობიექტები , რა რაოდენობის კვდრატულობაზეა საუბარი და ჯამურად პრივატიზების შემდეგ მუნიციპალიტეტი რა თანხას მიიღებს, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N 13ა-ში მდებარე 102.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 05.25.05.217), რომელზეც მოხდა ცვლილება საპრივატიზებო თანხისა და პირობის ნაწილში და ნუსხა/გეგმას დაემატა 38 პუნქტად. შესაბამისად, პუნქტი 26 ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან. ასევე, საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანილი იყო ლერმონტოვის ქ. N48-ს მიმდებარედ 604 კვმ (ს.კ 05.27.19.058) მიწის ნაკვეთი, რომელიც ამჟამად განიხილება ბაგრატიონი 2-ს ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრის მშენებლობის ადგილად. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 116). იგეგმება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში მდებარე 45,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 91,26 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 05.28.29.124) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა), ადრინდელი მოაღწევის ნაწილი ქაჯაიასათვის გადაცემა. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა -1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში სულხან-საბა ორბელიანის ქ. №4 არსებული 1320.00 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.26.04.114) საბაზრო-საპრივატიზებო ღირებულება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს 05.03.2021 წლის №001435021 დასკვნის შესაბამისად შეადგენს 671 880 ლარს. ხოლო ამავე ნაკვეთზე განთავსებული №1 – 208.26 კვ.მ და №2 – 207.19 შენობა ნაგებობების საბაზრო-საპრივატიზებო ღირებულებად განსაზღვრულია 199 395 ლარი. შესაბამისად №05.26.04.114 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო-საპრივატიზებო ღირებულება სულ შეადგენს 871 275 ლარს, 5% კი - 43 563 ლარს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 44 000 ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ დასვა კითხვა დავის გამოწვევის მიზეზის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფინანსური კუთხით ვერ იხდიდა, შესაბამისად შეწყვეტილი იქნა მასთან ხელშეკრულება, რომლის შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნდა აღნიშნული ობიექტი მერიას, თუმცა ობიექტი გაცემული იყო

აღნაგობის უფლებით, რადგან შემდგომ აეშენებინათ შენობა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც მოგეხსენებათ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებს იურიდიული/ფიზიკური (მაღაზიები, რესტორნები და სხვა) პირები სარგებლობენ გარე ვაჭრობის დანიშნულებით და სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევის მიზნით, მითუმეტეს კოვიდ პანდემიის დროს აქტუალური გახდა ღია სივრცეები და ტერიტორიები. შექმნილი კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყანა შესაძლებელია უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის წინაშე დადგეს, მათ შორის ბათუმში დაიხურა ბევრი სავაჭრო სარეალიზაციო ობიექტი, სარესტორნო ბიზნესი, ხოლო ვინც შეძლო და გაართვა ამ რთულ ეპიდსიტუაციას თავი აგრძელებენ საქმიანობას, მკაცრი კოვიდ რეგულაციების და შეზღუდვების დაცვით. პროექტის მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (covid 19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლების (გარე ვაჭრობისათვის გამოყენებით) პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის შედგენა, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შექმნილ პანდემიურ მდგომარეობას, ითვალისწინებს რა მეწარმეთა (კანონიერ ინტერესს) ასევე ადგილობრივი ბიუჯეტისათვის დამატებითი შემოსავლების არსებობას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ დასვა შეკითხვა, შეეხება თუ არა იმ კატეგორიას ვინც ქუჩაში უნებართვოდ გამოსულია, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნებართვოდ გამოსვლის შემთხვევაში თუ აკმაყოფილებს ყველა იმ რეგულაციებს აღნიშნული რეგულაციების დაცვით მიეცემათ თუ ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, შესაბამისად ეთქმებათ უარი.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ განაცხადა, რომ - ხელს უწყობთ პანდემიასთან დაკავშირებით ადამიანებს, რომ მეტი სივრცე გაჩნდეს ვაჭრობის გარეთ, რომ შიგნით შესვლა შეუძლებელია, მაგრამ ამით ირღვევა რეგულაციები. მაგ. გორგილაძისა და თაყაიშვილის კვეთაში ბულვარის მიმართულებით გასავლელი ადგილი არაა. აუცილებელია კონტროლის დაწესება.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგური აღნიშნა, რომ შეღავათები არ უნდა მოქმედებდეს მონიტორინგზე და კონტროლზე.

ქალა ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ საშეღავათო გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ იმ სუბიექტებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას. ბუნებრივია არ იქნება დაშვება იმ სუბიექტებზე, რომელსაც რიგი გადახრები და დარღვევები აქვს. დარღვევების შემთხვევაში მუნიციპალური ინსპექცია გაატარებს ღონისძიებებს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერიასა და როინ დიასამიძეს შორის 2006 წლის 17 ოქტომბერს ნოტარიულად გაფორმებული (რ/№1-3784) იჯარის ხელშეკრულებით (რომელიც გულისხმობდა აღნაგობის უფლებასაც) როინ დიასამიძეს, კომერციული ობიექტის მშენებლობის მიზნით, სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მერიის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში მდებარე 45,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.08.29.047 (01.07.2016 წ-დან დაზუსტებული საკადასტრო კოდი: 05.28.29.124)). სარგებლობის ვადა განისაზღვრა 11 წლით. მხარეთა შორის 2016 წლის 21 ივნისს გაფორმებული შეთანხმებით იჯარის ხელშეკრულებას ეწოდა „აღნაგობის ხელშეკრულება“ და შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილებები ხელშეკრულების პირობებში. აღნაგობის საზღაურის ოდენობა შეადგენდა 450,0 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს წელიწადში. სარგებლობაში მიღებულ მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლების მქონემ ააშენა 91,26 კვ.მ. შენობა (კომერციული ობიექტი). აღნაგობის უფლების ჩუქების შესახებ 2016 წლის 01 ივლისს დადებული ხელშეკრულებით აღნაგობის უფლების მქონედ განისაზღვრა ნანა ქაჯაია და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის უფლების ვადა (11 წელი) ამოიწურა 2017 წლის 17 ოქტომბერს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით 2017 წლის 17 ოქტომბრიდან შეწყვეტილად ჩაითვალა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში მდებარე 45,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.28.29.124) რეგისტრირებული ნანა ქაჯაიას აღნაგობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად სასყიდლიანი აღნაგობის უფლების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ აღნაგობის უფლების მქონეს უნდა მისცეს ანაზღაურება ამ ნაკვეთზე აღმართული ნაგებობის ღირებულების 2/3-ს ოდენობით (მომენტის დადგომისას აუდიტის შეფასების მიხედვით). დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის (#ბთ/მ-3; 05.02.2019წ.) მიხედვით მიწის ნაკვეთზე აღმართული 91,26 კვ.მ. შენობა-ნაგებობის თვითღირებულებამ 82 708,80 ლარი შეადგინა., შესაბამისად, მისი 2/3 შეადგენს 55 139,20 ლარს.

ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის უფლების ვადის (17.10.2017წ.) ამოიწურვის შემდეგ, მართლზომიერად მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე მიწის ნაკვეთით, შენობა-ნაგებობასთან ერთად სარგებლობის შემთხვევაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოსარგებლე ვალდებულია ამ პერიოდისათვის გადაიხადოს ქონების სარგებლობის საფასური, რაც წელიწადში შეადგენს ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%-

სა. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის (#ბთ/მ-92; 09.09.2020წ.) მიხედვით ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში მდებარე 45,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 11 250,0 ლარს, ხოლო 91,26 კვ.მ. შენობა-ნაგებობის - 200 772,0 ლარს სულ -212 022,0 ლარს. შესაბამისად, უძრავი ქონებით სარგებლობის საფასური (არანაკლებ 5%-სა) შეადგენს 10 601,1 ლარს წელიწადში.

ნანა ქაჯაიამ რამდენჯერმე მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, ბოლოს 2021 წლის 06 აპრილს (#19/1421096518-14), ადრე აღნაგობის უფლებით მის სარგებლობაში არსებული ქონების 2/3 თანხის სანაცვლოდ პირდაპირი წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე .

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ნანა ქაჯაიას პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 5 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში მდებარე 45,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 91,26 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 05.28.29.124). სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 10 610,0 ლარით (უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების არანაკლებ 5%-სა). 2017 წლის 17 ოქტომბრიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (30000,0 ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ნანა ქაჯაიასათვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (დასკვნა ბთ/მ-3; 05.02.2019წ.; 55139,20 ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 1(ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ბონდი-2009“ (ამჟამინდელი მესაკუთრე/უფლებამონაცვლე - შპს „გრანდ მაისონი“) შორის 2019 წლის 29 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სააუქციონო პირობების/შეზღუდვების (ვალდებულებების) დაზუსტება. აღნიშნული არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას, რადგან არ მცირდება სასტუმრო ნომრების რაოდენობა, რასაც ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ბონდი-2009“ (ამჟამინდელი მესაკუთრე/უფლებამონაცვლე - შპს „გრანდ მაისონი“) შორის 2019 წლის 29 მაისს დადებული ხელშეკრულება და სასტუმროების (სასტუმრო ნომრების) მართვა განხორციელდება სასტუმროების საერთაშორისო ბრენდ(ებ)ის მეშვეობით, ან იმ სასტუმრო ოპერატორ(ებ)ის მიერ, რომლებიც კომპლექსის ამოქმედების მომენტისათვის OECD-ის წევრ ქვეყანაში ახორციელებენ სასტუმრო ქსელის ოპერირებას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა დასვა კითხვა თუ რამ განაპირობა დაკონკრეტება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ 300 ნომრიანი სასტუმრო ერთ შენობაში ფიზიკურად შეუძლებელი იყო, თუმცა შეეძლო გაენაწილებინა სხვა შენობებში, რადგან ხელშეკრულებებში სრულად განმარტებული უნდა ყოფილიყო და მხარეთათვის აღქმადი ყოფილიყო თუ რას ნიშნავდა ეს ჩანაწერი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 8. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2021 წლის 8 აპრილის N GOV 6 21 00012428 წერილის თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ, უფლებამოსილების ფარგლებში, განხორციელდა „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №5 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი: განსახილველი N5 დადგენილებით ძირითად დადგენილებას დაემატა 21 მუხლი, რომლითაც 2021 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდისათვის განისაზღვრა ამავე დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით დადგენილი M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასისგან (20 ლ) განსახვავებული ფასი. კერძოდ, დასახელებული მუხლის მიხედვით, „2021 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდისათვის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის განისაზღვრება 0,1 ლარით.“ საყუდარლებოა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2020 წლის 12 ივნისის კანონით ამ სახის ნებართვის სახელწოდება ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა. ამდენად, მართებული ტერმინოლოგიის გამოყენების თვალსაზრისით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან სრულ შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი. განსახილველი დადგენილებით წარმოდგენილი ცვლილება, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, საჭიროებდა ძირითადი აქტის პირველი და მე-2 მუხლების რედაქტირებას და საგამონაკლისო ნორმაზე (21 მუხლზე) მითითებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზეა ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, რაც სადავოს ხდის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის საკითხს. გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტის მიღების მიზანია შევიდეს ცვლილება და განხორციელდეს ძირითადი აქტის სათაურის, პირველი, მე-2, 21 და მე-4 მუხლების რედაქტირება და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცება. აღნიშნული წესის მიღება გაამარტივებს, უფრო ეფექტურს და სრულყოფილს გახდის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 264 მუხლი აძლევს ნებართვის გამცემ ორგანოს გამოიყენოს ელექტრონული საქმისწარმოება მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. სამსახურის მიერ ელექტრონული საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება შესაძლებელი იქნება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსებული დაინტერესებული პირის განცხადებით. განმცხადებელი ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია განცხადებაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად სამსახურს წარუდგენს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ვებგვერდზე ms.gov.ge. განმცხადებლის მიერ მოხდება ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის და მონაცემების შეყვანა შესაბამისი რეგისტრაციის ველში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდება გაცემული მშენებლობის ნებართვების შესახებ, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რაც ვერ ხორციელდება განცხადების კანცელარიის გზით შემოტანის შემთხვევაში. სტატისტიკის მიწოდება ხდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის. აღნიშნული პროგრამა დაკავშირებულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა apps.msda.ge-თან. ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაზე გადასვლის შედეგად ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში განხორციელებული

ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ; მიზანშეწონილია დაზუსტდეს დადგენილების პირველი მუხლი; კერძოდ; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დეტალური შეტყობინების დადგენის წესი დადგინდეს მეორე კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობებისათვის; ასევე მეორე კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციისათვის, ისეთი მეორე კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობების მშენებლობა/რეკონსტრუქციისათვის, რომლებიც განკუთვნილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ფუნქციონირებისათვის და მეორე კლასს დაქვემდებარებული ღობის მშენებლობა/რეკონსტრუქციისათვის. ზემოაღნიშნულის უფლებამოსილებას ადგენს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანამხად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია რომ უნდა მოხდეს დიფერენცირება იმ სახის ფუნქციური ობიექტების (მეორე კლასის), რომლებზეც შესაძლებელია დადგინდეს დეტალური შეტყობინების აღების წესი და დაინტერესებულ პირს არ მოეთხოვოს მშენებლობის ნებართვის აღება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ირაკლი პატარიძე მიესალმება წარმოდგენილი საკითხის დამტკიცებას, რადგან მეორე და მესამე კლასის სამშენებლო რეგულაციებიდან გამომდინარე მეორე კლასი გამარტივდა და მოქალაქეებისთვის ადვილი გახდება კერძო სახლის მშენებლობის ნებართვის აღება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და

პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ადმინისტრაციის უფროსი მარადი სანიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ.ბათუმში რესტორან სანაპიროს მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, საზღვაო აკადემიის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, სტეფანე ზუბალაშვილის 34 ნომერში არსებული სკვერის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, კათოლიკური ეკლესიის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის, ლეხ და მარია კანჩინსკების პარკის მიმდებარედ არსებული პარკირების სადგომის ადგილების გამოყოფა, მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და მოწყობა ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს ქალაქში კერძო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებაზე და გააუმჯობესებს შექმნილ სიტუაციას უკეთესობისაკენ. დამატებით ქალაქის მასშტაბით იქმნება 215 ავტომობილისთვის განკუთვნილი პარკირების სადგომი.

ა.ბ პროექტის ძირითადი არსია: კერძო ტრანსპორტის პარკირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა რესტორანის სანაპიროს მიმდებარედ, საზღვაო აკადემიის მიმდებარედ, სტეფანე ზუბალაშვილის 34-ში არსებული სკვერის მიმდებარედ, კათოლიკური ეკლესიის მიმდებარედ, ლეხ და მარია კანჩინსკების პარკის მიმდებარედ, პარმენ რურუას №10-ში.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ პარკირების მოწესრიგების მიზნით ქუჩების შევიწროვებასთან დაკავშირებით სამჯერ აღემატება ფეხით სავალი ნაწილი, მანქანით სავალ ნაწილზე.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძე - თბილისის მოედანზე შესადლებელია მიწისქვეშა პარკირება, რომელზედაც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს რაც მიწისზევითაა მიწისქვეშაც გაკეთდეს. საპარკინგე ადგილები ამ მიმართულებით უნდა მოხდეს ქალაქის განტვირთვის მიზნით. ასევე საკითხს უნდა მიუდგეთ სტანდარტულა, რადგან რკინიგზის სადგურში შესვლა ღირს 2 ლარი, აქაც როგორც სხვაგან გადასახადი უნდა იყოს 1 ლარი.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე - თბილისის მოედანთან დაკავშირებით რა გამოცდილება აქვს სამსახურს, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის საკრებულოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა თბილისის მოედანი პარკირების სპეციალურ ადგილად,

რომლითაც განისაზღვრა ეს საფასური. იმ დროისათვის ფუნქციონირებდა ფულის ქეშად გადახდის სისტემა. ორგანიზაციისთვის და ქალაქისთვის მნიშვნელოვანია პარკირების სპეციალური ადგილების არსებობა.

საკრებულოს წევრი მუხამედ ართმელაძე - დღეის მდგომარეობით რამდენ საპარკინგე ადგილს ღებულობენ, სამომავლოდ დაახლოებით რამდენი სჭირდებათ, რა ჯდება ორგანიზება და ბიუჯეტს რამდენს ელიან, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილების მიხედვით ქალაქს ემატება დაახლოებით 250 ახალი პარკირების სადგომი, შემოსავლების ნაწილს რაც შეეხება ისევ და ისევ თბილისის მოედნის პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე დღიური საშუალო შემოსავალი არის დღის განმავლობაში 250-350 ლარამდე. პარკირების პოლიტიკა პირდაპირ არის მიზნული მუნიციპალურ ტრანსპორტთან. პარკირების სიძვირე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საერთოდ არ არის ძვირი.

ქალაქ ბათუმის მერის მ/შ-ი არჩილ ჩიქოვანი- აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არა მარტო შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ განიხილავს ამ საკითხებს, არამედ მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური უფრო მჭიდროდ არის ჩართული საერთაშორისო პარტნიორებთან.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე - წარმოდგენილი პროექტი დაკავშირებულია ადგილმდებარეობასთან, ფასთან კვლევები უნდა გაგრძელდეს.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიმიგური - მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ვისაც წლიური გადახდილი პარკირების საფასური აქვს იმას არ ეხება. მიზანია პარკირების მოწყობა და ქალაქის განტვირთვა. მან წამოაყენა წინადადება გონიო-კვარიათშიც სატრანზიტო მანქანებისათვისაც გამოიყოს პარკირების ადგილები.

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე - გაიზარდოს ადგილები და პარკირების მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მიესალმება ამ საკითხს, თუმცა არ მიესალმება ფასებთან მიმართებაში, მხედველობაში აქვს ხანგრძლივი დროით მანქანების გაჩერება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1(ა. მამულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი.თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი